ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №16

ქ. თბილისი

09 თებერვალი 2023 წ.

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „მერმისი“ (შემდგომში _ „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნონა ღუდუშაურის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მირა” (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ნიორაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ “საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი)

1.1 ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტი): (საბიუჯეტო სახსრებით) ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (საქონლის დასახელება, CPV კოდი, რაოდენობა და ერთეული ფასი მოყვანილია N1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს: 1000,00 (ერთიათასი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველს მიაწოდებს ხარისხიან საქონელს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N126.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის 2023 **წლის 09 თებერვლიდან 2023 წლის 25 თებერვლამდე.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირია სსიპ კოლეჯი „მერმისი-ს“ მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი გოდერძი მადურაშვილი.

6. ანგარშსწორების წესი

6.1 ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება (ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე) მხარეთა შორის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება– მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულოების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2023 წლის 09 თებერვლიდან 2023 წლის 30 აპრილამდე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა შესაძლებელია გადაიჭრას ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კოლეჯში მოქმედი ინსპექტირების ჯგუფი.

13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დეფექტის სათანადო მიზეზების მითითებით.

13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ინტერესთა კონფლიქტი

14.1 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და ვალდებულებები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ კოლეჯი „მერმისი"
მისამართი: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი N9ა, ს/კ 209467646;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ა.ა 709097519
ორგანიზაციული კოდი 32030111
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

_____
(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს ,,მირა"
მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126
სს „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22 ა/ა GE84BG0000000146378700
ს/კ 202218698
დირექტორი: ზაზა ნიორაძე

_____
(ხელმოწერა)

Zaza Nioradze 54001003889

Digitally signed by Zaza Nioradze
Date: 2023.02.10 10:17:01

დანართი N1

№	cpv-კოდი	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ. ფასი	საქონლის ფასი
1	31531000	ნათურა T8-18W-54W base G13	ცალი	500	2.00	1000.00
		ჯამი (ლარი)				**1000.00**

შემსყიდველი:

სსიპ კოლეჯი „მერმისი“
დირექტორი: ნონა ღუდუშაური

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:
შპს ,,მირა”
დირექტორი: ზაზა ნიორაძე

(ხელმოწერა)